



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 111

19 მარტი
“ --- ” ----- 2021 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.05.009.111; №01.14.06.003.041) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 17 მარტის №21.329.372 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.14.05.009.111; №01.14.06.003.041) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.mts.gov.ge რეგისტრირებული №01203592466-67 განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად;

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ეროი ოვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 21.329.372
17 / მარტი / 2021 წ.

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.111; N01.14.06.003.041) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 24 დეკემბერს N01203592466-67 განცხადებით მიმართა შალომ შაიმ (პ/ნ 0-1748307-4) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.05.009.111; N01.14.06.003.041) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.06.003.041 და N01.14.05.009.111) ჯამური ფართობი: 8 125 კვ.მ. „მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის“ მოპირდაპირედ და მდ. ვერეს ხეობის მიმდებარედ. საპროექტო ტერიტორია გაუწევენიაზელია, ხოლო მის მიმდებარედ, ჩრდილოეთით, ფერდის ზედა ნაწილში, მეჩხერად შეინიშნება დაბალი ინტენსივობის საცხოვრებელი სახლები. მის აღმოსავლეთით, დაახლოებით 200-250 მეტრის რადიუსში, უნივერსიტეტის ქუჩასა და ზ. ანჯაფარიძის ქუჩების მომიჯნავედ, ტერიტორია განაშენიანებულია დაბალი, საშუალო ინტენსივობის, ძირითადად 2-3 ან 4 სართულიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებით. წარმოდგენილი ტოპოგრაფიის გეგმის მიხედვით, ტერიტორია წარმოადგენს აქტიურად გამწვანებულ ფერდს, არის რთული რელიეფი, რომლის ნიშნულებს შორის სხვაობა 35-40 მეტრია. წარმოდგენილი დეტალური გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად, ტერიტორია დამაკმაყოფილებელია სამშენებლო სამუშაოების განსახორციელებლად.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), მცირედ ნაწილზე საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3).

„ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.009.111; N01.14.06.003.041) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 14 აგვისტოს N198 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გვერდებით დავალება.

შემოთავაზებული წინადადებით იგეგმება არსებული საცხოვრებელი ზონა 2-ისა (სზ-2) და საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ($\gamma-1=0,5$; $\gamma-2=2,1$; $\gamma-3=0,2$); განთავსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, საიდანაც 3 სართული დაეთმობა შიდა ავტოსადგომებს 74 ავტომობილზე.

შენობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) 8 125 კვ.მ



კ1=0,4, 3042 კვ.მ

კ2=1,5; 12200 კვ.მ

კ3=0,4, 3639 კვ.მ

შენობის მაქსიმალური სიმაღლეა: 27მ

მაქსიმალური სართულიანობა: 1 მიწისქვეშა, 8 მიწისზედა.

აღსანიშნავია რომ ბოლო სართულის (სიმაღლე 4.35 მ) ფართობი არ აღემატება სართულის გარე პერიმეტრში მოქცეული ფართობის 50%-ს და განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზის დადგენის მხრიდან შეწეულია მინიმუმ 5 მ.-ით. ასევე, კომპლექსში მაცხოვრებელ პირთათვის სრული ნაკვეთის ფარგლებში გათვალისწინებული გამწვანებული და ღია სივრცეების არეალის ჯამური ფართობი შეადგენს 4 840 კვ.მ-ს.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე 5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა საგადადებულოა:

ა) გაუანაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2021 წლის 21 იანვრის N01210212788 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა N01.14.06.003.041 და N01.14.05.009.111 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2020 წლის 30 დეკემბრის N01203652785 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების

გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 4 მარტის N61-0121063157 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2017 წლის 27 ოქტომბერს ჩატარებულ N379-ე აუქციონზე გახიზვადი N01.14.05.009.111 და N01.14.06.003.041 საკადასტრო კოდეზით რეგისტრირებული უძრავი ქონების განკარგვა, ერთ ლოტად. უძრავ ქონებას მინიჭებული ჰქონდა საცხოვრებელი ზონა 3-ის (სზ-3) ფუნქცია და სააუქციონო პირობად განსაზღვრული იყო შემდეგი: „მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარება განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად“. ვინაიდან, განაშენიანების რეგულირების ფარგლებში იგეგმება ტერიტორიის საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) შესაბამისად განვითარება, ფუნქციური ზონის ცვლილებით გამოწვეული ფასთაშორისი სხვაობის ოდენობის განსაზღვრისათვის წერილი გადაგზავნილია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

შესაბამისად, ფასთაშორისი სხვაობის ოდენობის გადახდა განხორციელდება არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-3 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტია არსებული განაშენიანებული ტერიტორიების გამოყენების რაციონალიზაცია და ეფექტიანობის გაზრდა, მათ შორის, ამორტიზებული ან/და დეგრადირებული განაშენიანების განახლება-განვითარება. გაუნაშენიანებელი ტერიტორიების ათვისება დაიშვება მხოლოდ განაშენიანებული ტერიტორიების ქალაქგანვითარების პოტენციალის ამოწურვის ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობითა და განაშენიანების რეგულირების წესებით განსაზღვრული პროცედურებით მიღებული ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით. თბილისის ტერიტორიების განაშენიანების რეგულირების წესებით დაშვებული ნებისმიერი ფორმით გამოყენება და განაშენიანება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ტერიტორიები უზრუნველყოფილია სათანადო საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდეზი: N01.14.05.009.111; N01.14.06.003.041) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01203592466-67 განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდეზი: N01.14.05.009.111; N01.14.06.003.041) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეკონსტრუქციის გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01203652785

თარიღი: 30/12/2020

პიბი: 3806

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

2020 წლის 24 დეკემბრის N 01203592466-67 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება ქ.თბილისში, უნივერსიტეტის (გ. დანელიას) ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: 01.14.06.003.041; 01.14.05.009.111) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 13 ივლისის N 01201953614-67 განცხადების პასუხად N 01202063386 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული მჭამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **01210212788**

თარიღი: **21/01/2021**

პისი: **5460**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 24 დეკემბრის №01203592466-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, გიორგი დანელიას ქუჩაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.14.06.003.041 და 01.14.05.009.111 (არსებული ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 2 და საცხოვრებელი ზონა 3; დაგეგმილი ფუნქციური ზონირება: საცხოვრებელი ზონა 5) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში **01.14.05.009.111 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **38 ძირი მწვანე ნარგავი** (№2, №9-№10, №13-№15, №17-№25, №27, №29-№30, №33-№35, №38-№39, №46-№48, №56, №67, №71 73-№74, №80-№82 №85-№88 და **1.14.06.003.041 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **22 ძირი მწვანე ნარგავი** (№2-№9, №11-№13, №17-№20, №25-№28, №30-№31, №33) განეკუთვნება ხილ-ვენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-ვენკროვანი ნარგავების მოჭრა/ გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმაზე 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ხილ-ვენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-ვენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე, გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზესმედი/ხმობადი/გადაბერებული სეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა **01.14.05.009.111 საკადასტრო ერთეულზე** მოიჭრას **1 ძირი** (№40) **ზეხმელი თუთუბო** მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **29 ძირი მწვანე ნარგავის** დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების 21-ე მუხლის 1¹ პუნქტისა და 21² მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს **01.14.05.009.111 საკადასტრო ერთეულზე** აღწერილი **19 ძირი** (№12, №28, №31-№32, №36-№37, №42, №49, №57-№58, №65-№66, №69, №72, №75-№76, №83-№84, №89) **ძეძვი, 1 ძირი** (№25) **თუთუბო, 1 ძირი** (№68) **ჟასმინი** და **01.14.06.003.041 საკადასტრო ერთეულზე** არსებული **6 ძირი** (№10, №15, №24, №29, №34 №35) **ძეძვი** და **2 ძირი** (№14; №16) **მინდვრის თელა** მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტის დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

განმცხადებლის მიერ საპროექტო წინადადებით შემოთავაზებული გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადგენს 3 639 მ²-ს. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი გამწვანების პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა (გადასარგავი: 1 ძირი მინდვრის თელა და ასევე, საპროექტოდ დასარგავი: 20 ძირი ჰიმალაის კედარი, 25 ძირი ალექსო ფიჭვი, 22 ძირი უნაყოფო ჭადარფოთოლა თუთა,

7 ძირი წითელი ტყემალი, 25 ძირი ჭადარფოთოლა ნეკერჩხალი, 7 ძირი ცხენისწაბლი, 23 ძირი აკაკი , 10 ძირი ცაცხვი, **(ჯამში - 141 ერთეული)** სრულად ითვისებს მონომალური გამწვანების (კ-3) კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (3 250მ²).


იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.**

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.14.06.003.041 და 01.14.05.009.111 საკადასტრო ერთეულებზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



[illegible]



ქიწყო ნაყვანობა: შ.გოძაძე
გენერალის ბაზა

កម្រិតបំណុល	

⚡	საერთო რაოდენობა ბაღა
⚡⚡	სავსეობა ბაგინების რაოდენობა
⚡⚡⚡	მინიმალური საბაზისი სავსეობა
⚡⚡⚡⚡	სავსეობა

		საქონლის დაზიანება	
		სადაზარაო სახლი	
		საქონლის ანგარიშ	
		სახლი და ნაკრები	
		სადაზარაო სახლი და საკონტინერო	
		სადაზარაო სახლი და საკონტინერო	



92678365

- [illegible]

[illegible][illegible]

